

ბის პერიოდში, ძლიერი სხვა მთელბელა, რადგან ის გამოიწვევს მსხმოიარობის დაწყების დაგვიანებას. ამიტომ ამ პერიოდში საჭიროა ზომიერი სხვა – გამოზომიერით. მსხმოიარობის პერიოდში კი გამოყენებული უნდა იქნეს ტოტების სუსტი დამოკლება გამოზომიერით.

სიბერის პერიოდში, როდესაც მცენარე კარგავს ნაზრდის მოცემის უნარს, რის შედეგადაც მოსავლიანობა მცირდება, ზრდის გაძლიერების, ხის სიცოცხლის პერიოდის გახანგრძლივებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის საჭიროა პერიოდულად ისევ ძლიერი სხვა, რასაც პრაქტიკაში მცენარის გაახალგაზრდავებას უწოდებენ.

ციტრუსოვანთა ტოტების დამოკლებისა და გამოზომიერის შემდეგ ნარმოქმნილი ჭრილობები უნდა დამუშავდეს ბალის მალამოთი, რომელიც მცენარეებს იცავს გამოზომიერის, ტენისა და მიკროორგანიზმებისაგან.



**ბალის მალამოს დამზადება**

ბალის მალამო მზადდება ორგვარი წესით: ცივ მდგომარეობაში ნასაცხები და ისეთი მალამო, რომელიც გამოყენების წინ გათბობას მოითხოვს. საუკეთესოა ცივი მალამო, რომელიც მზადდება შემდეგნაირად:

2 წილი კანიფოლი, 2 წილი სანთელი და 1 წილი უმარილო ქონი. ჯერ ცეცხლზე ადნობენ ქონს, შემდეგ მას უმატებენ სანთელს და ბოლოს კანიფოლს. ასეთ ნარეგს ადუღებენ 30 წუთს. გამდნარ მალამოს ასახეურ ცივ წყალში და იზილება ხელით მანამ, სანამ ის ჩაღისფერს არ მიიღებს და არ დაბრბილდება. ამ წესით დამზადებული და ჭურჭელში შენახული მალამო დიდხანს ინახება.



**ა(ა)იკ აგროსკის ცენტრი**



**წიბრსაგან მცენარეთა ვახშის  
შოშრითა და მსხმოიარობის  
ნახარების მეთოდი**

**საინფორმაციო გუგულები**

**საინფორმაციო-  
საკონსულტაციო  
სამსახურები**

- ქ. ბათუმი  
599 54 66 31
- ქობულეთის მუნიციპალიტეტი  
599 54 66 23
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი  
599 54 66 59
- ქედის მუნიციპალიტეტი  
599 54 67 30
- შუახევის მუნიციპალიტეტი  
599 54 68 17
- ხულოს მუნიციპალიტეტი  
599 54 68 95

**საქართველო, ბათუმი, 6010,  
ბაქოს ქუჩა № 46ა  
ტელ.: +995 (422) 27 64 65  
www.agrosc.ge**



ქმნათუმი  
2018 წელი



## ციტრუსოვან მცენარეთა ვარჯის ფორმირება და მსხმოიარა ნარგავის მოვლა

### მცენარეთა ვარჯის ფორმირებისა და გასხვლის მნიშვნელობა

ციტრუსოვანთა უხვი, მყარი და ხარისხიანი მოსავლის მიღების საქმეში, სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეთა ვარჯის სწორად ფორმირებას და გასხვლას. ვარჯის დროულად ფორმირებაზე დამოკიდებული მცენარეთა მსხმოიარობის დანყება, გასხვლის გამოყენებით კი მნიშვნელოვნად შეიძლება შემცირდეს მსხმოიარობის პერიოდულობა (მენსლეობა).

ციტრუსოვან მცენარეთა ფორმირება და გასხვლა, ადრეულ და შემდგომ პერიოდში, მიზნად ისახავს: სასურველი ვარჯის ფორმირებას ძლიერი და კარგად განვითარებული განტოტვით, ზრდისა და მსხმოიარობის რეგულირებას და მცენარეთა მაქსიმალურ პროდუქტიულობას.



### ციტრუსოვან მცენარეთა გასხვლის წესები

ციტრუსოვან მცენარეთა გასხვლა ტარდება ძირითადად ორი მეთოდით, გამოხშირვით – როცა მცენარეს ნაწილ ტოტებს მთლიანად აცილებენ (ამ დროს იჭრება გამოხველებული ტოტები) და დამოკლებით – ტოტს გარკვეულ ნაწილს (1/3-1/4) აჭრიან, ნაწილი ტოტისა კი ისევ რჩება ხეზე. გაუსხლავ

ტოტზე წვეროსა და მისი მომდევნო რამდენიმე (3-4) კვირტი ქვედა კვირტებთან შედარებით ადრე იწყებს ზრდას, ამასთან ერთად წვეროს კვირტები, წვეროსაკენ საკვები ნივთიერებების დიდი სიძლიერით დინების გამო, იძლევიან უფრო ძლიერ ნაზარდს, ვიდრე ქვედა კვირტები, დანარჩენი კვირტები (შუა ნაწილის), ზრდის საგრძობლად შესუსტების გამო, იძლევიან მოკლე ნაზარდს, რომელიც შემდეგში სანაყოფე ტოტებად იქცევიან, ტოტის ქვედა ნაწილში არსებული კვირტები კი „მძინარე“ რჩება.

გაუსხლავ ტოტს მიდრეკილება აქვს სიგრძეში



ზრდისა, რის გამოც ნაკლებად იტოტება, შუა ნაწილში განვითარებული სანაყოფე ტოტები ადრე კარგავენ მოსავლის მოცემის უნარს. ამის შედეგად მსხმოიარობა თანდათან ვარჯის პერიფერიისაკენ გადაინაცვლებს, ტოტი შიშვლდება. რაც იწვევს მოსავლიანობის შემცირებას.

ასეთი მოვლენის თავიდან ასაცილებლად საჭირო ხდება ტოტის დამოკლება. დამოკლება ხელს უწყობს გვერდითი კვირტებიდან ძლიერი სახდელი ტოტების განვითარებას, განტოტვა – კი დამოკლებული ტოტის უკეთ დასხვილებას. ამრიგად, დამოკლება ხელს უწყობს ვარჯის უკეთ ფორმირებას, მის კომპაქტურობას.

ასეთ დადებით თვისებებთან ერთად, დამოკლებას თავისი უარყოფითი მხარეებიც აქვს. მაგალითად დამოკლების შედეგად განვითარებული გვერდითი ტოტები ხშირ ვარჯს ქმნის, რის გამოც მისი განათების პირობები უარესდება. ეს კი საბოლოოდ სანაყოფე კვირტების განვითარების შემცირებას

იწვევს. ვარჯის შუა ნაწილის უკეთ განათებისა და საკვები ნივთიერებების მიზანშეწონილად გამოყენებისათვის საჭირო ხდება ზედმეტი ტოტების მოცილება, ანუ ვარჯის გამოხშირვა. ამ შემთხვევაში ზედმეტ ტოტებს მთლიანად აჭრიან. სხვლის ამ ორ წესს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება. დამოკლების შემთხვევაში ერთნაირი ტოტების რაოდენობა გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე გამოხშირვისას.

ამრიგად, დამოკლების დანიშნულებაა ტოტის დარჩენილ ნაწილზე ძლიერი გვერდითი განტოტვის განვითარება, ხოლო გამოხშირვისას კი ვარჯისათვის განათების უკეთესი პირობების შექმნა და საკვების უკეთ გამოყენება. თითოეულ მათგანის ცალკე გამოყენება ვერავითარ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებს გასხვლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

ორივე წესის ერთად გამოყენება კი ხელს უწყობს ჯანსაღი, კომპაქტური ვარჯის შექმნას, სანაყოფე ტოტების უხვად წარმოქმნას, მოსავლის გადიდებას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას.

სიძლიერის მიხედვით, ლ განასხვავებენ ძლიერ,



ზომიერ და სუსტ სხვლას. ძლიერი სხვლაა, როდესაც ტოტს დაახლოებით სიგრძის ორ მესამედს აჭრიან, ზომიერი სხვლის დროს ტოტის სიგრძის ნახევარს აჭრიან ხოლო სუსტი სხვლისას კი პირიქით ერთ მესამედს აჭრიან და ორ მესამედს ხეზე ტოვებენ.

მცენარის დარგვიდან პირველ ორ წელს, როდესაც ხდება ძლიერი კომპაქტური ვარჯის ჩამოყალიბება, ახალგაზრდად მცენარის ტოტები შედარებით ძლიერ უნდა დამოკლდეს, მას შემდეგ რაც ვარჯის ჩონჩხი უკვე ფორმირებული იქნება და მცენარე შედის მსხმოიარო-